ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 29

ქ.თბილისი

28 აპრილი 2017 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები და შესყიდვის ობიექტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის, ს' ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნათა შესაბამისად

ერთის მხრივ ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანება" (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. N103), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ნინო სანადირაძის სახით, (შემდგომში "შემსყიდველი"),

და მეორეს მხრივ,

შპს "გუგა" (მის: თბილისი, ვაშლიჯვარი, კორპ 12ა, ბინა 22) წარმოდგენილი მისი მინდობილი პირის დავით ჯიბლაძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი")

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას **ამ ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული საქონლის** გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვაზე, შემდეგ თანხაზე **2070,0 (ოცდაათას სამოცდა ათი) ლარი**, შემდგომში ("ხელშეკრულების ღირებულება")

2. ტერმინთა განმარტებები

2.1. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.2. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც გააფორმა შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

2.3. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ "ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, მასზე თანდართული, ყველა დოკუმენტით, კერძოდ:

2.3.1. ფასების ცხრილი (დანართი №1).

2.4. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს **დანართი N1-ით გათვალისწინებული საქონელი** (შემდგომში "საქონელი"), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

3.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის CPV კოდები მითითებულია დანართ N1-ში.

3.3. მისაწოდებელი საქონლის დასახელება, განზომილება, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფასების ცხრილის შესაბამისად (დანართი №1).

3.4. შესყიდვის ობიექტი შეფუთული უნდა იყოს ქარხნული წესით ისე, რომ დაცული იყოს გარეშო ზემოქმედებისაგან, გარდა იმ პროდუქციისა, რომლის შეფუთვაც შეუძლებელია ქარხნული წესით.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ნებისმიერ ეტაპზე.

4.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს: თეიმურაზ მაკარიძე, პირადი ნომერი 21001005828.

4.3. ინსპექტირების განმახორციელებელი პირის ფუნქციებია:

4.3.1. გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დაცვას;

4.3.2. დაადგინოს მიწოდებული საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

4.3.3. გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელთან და უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.

5. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია, საქონლის მიწოდება (გიფსოკარდონი მონტაჟისა (LED და CD პროფილები) და შელებეით ოთახებში არსებულ ფერად) განახორციელოს 2017 წლის 5 მაისის ჩათვლით.

5.2. საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯით;

"შემსყიდველი"
ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანება"

ნინო სანადირაძე
გენერალური დირექტორი

"მიმწოდებელი"
შპს „გუგა"

დავით ჯიბლაძე
მინდობილი პირი

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტი დგება საქონლის სრულად მიწოდების დასრულების შემდეგ.

6.4. საქონლის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება საქონლის მიწოდების ადგილზე.

6.5. საქონლის მიღების დროს საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უსაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მოცულობის შესაბამისად, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე;

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში

7.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების 10.3 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებლისადმი გადასარიცხი თანხიდან.

7.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

8. საქონლის საგარანტიო პირობები და ვადები

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ხარისხიანი, სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს და ამ საქონლისათვის დადგენილ და მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს.

8.2. მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში (არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა) განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

8.3. მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების ბიუჯეტიდან მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

9.1.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

9.1.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

9.1.3. 9.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად (მთლიანად ან ნაწილობრივ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

9.2.1. მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

9.2.2. მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

9.2.3. მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

10.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანება"	შპს „ჯეგა"
ნინო სანადირაძე	დავით ჯიხლაძე
გენერალური დირექტორი	მინდობილი პირი

10.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას: მიწოდების გრაფიკით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს გრაფიკით მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;

10.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

10.4.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით.

10.4.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 10.4.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

10.4.3. ხელშეკრულების 10.4.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვიდამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის ვადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებებია დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოიწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

13.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგადაც იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის გაწყვეტილ ნაწილად.

14. ხელშეკრულების სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი;

"შემსყიდველი"
ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანება"

ნინო სანდირაძე
გენერალური დირექტორი

"მიმწოდებელი"
შპს „ვუგა"

დავით ჯიბლაძე
მინდობილი პირი

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითეო ეგზემპლიარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 1 თებერვლამდე.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანება"
ს/კ: 402 036 998
ლიბერთი ბანკი
ა.ა GE 50 LB 0115 1833 6431 8000

"მიმწოდებელი"
შპს „გუგა"
ტელ: 577 41 20 19
ბანკის დასახელება: პროკრედიტ ბანკი
ა/ა № GE58PC 0223 6001 0000 9914
საიდენტიფიკაციო კოდი: 404 866 141
595429242

"შემსყიდველი"
ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანება"

ნინო სანადირაძე
გენერალური დირექტორი

"მიმწოდებელი"
შპს „გუგა"

დავით ჯიბლაძე
მინდობილი პირი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 29

ქ.თბილისი

28 აპრილი 2017 წელი

დანართი №1

ფასების ცხრილი

N	CPV კოდი	საქონლის დასახელება	ზომა	რაოდ	ერთ.ფასი	ჯამური თანხა
1	44100000	ვიფსოკარდონი მონტაჟითა (UD და CD პროფილები) და შელეწვილი ოთახებში არსებული ფერად	0	69.00	30	2070.00
		სულ თანხა დდგ-ს ჩათვლით				*2070.0*

"შემსყიდველი"
ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანება"

ნინო სანადირაძე
გენერალური დირექტორი

"მიმწოდებელი"
შპს „გუგა"

დავით ჯიბლაძე
მინდობილი პირი

ორიათას თოთხმეტი წლის ექვს ოქტომბერს მე, ნოტარიუსს მაია წიკლაურს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომლის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №55, მომმართა **ირაკლი ჯიბლაძემ**, განაცხადა რომ არის შპს „გუგა"-ს, შემდგომში მარწმუნებლად წოდებულის დირექტორი და მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე, დავადგინე მარწმუნებლის უფლებამოსილება /თანახმად ამონაწერის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B14075003, ამონაწერის მომზადების თარიღი 23/07/2014 12:49:22, შპს-ს იურიდიული მისამართია: თბილისი, ვაშლიჯვარი, კორპ. 12/ა, ბ 22, ს.კ. 404866141, სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი 01/07/2010/, პირადობა, ნების გამოხატვის ნამდვილობა, ქმედუნარიანობაში ეჭვი არ შემპარვია და ვინაიდან ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა დავამოწმე სანოტარო აქტი. მას ასევე განვუმარტე, რომ: ამ აქტით წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ჭარწყლდება ვადის გასვლით, უფლებამოსილი პირის უარით, უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით, უფლებამოსილების გაუქმებით გამცემი პირის მიერ, უფლებამოსილების შესრულებით. მარწმუნებელმა წაიკითხა მინდობილობა, მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით მოაწერა ხელი.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თოთხმეტი წლის ექვს ოქტომბერს მე, ქვემორე ხელისმომწერი ირაკლი ჯიბლაძე, დაბ. 13.08.1975 წელს თბილისში, რეგისტრირებული თბილისი, ვაშლიჯვარი, კორპ. 3ა, ბ. 3-ში, მისი პირადობა დადგენილია წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით 11ID48363, პირადი №01025007838, გაცემული 24.07.2012 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ, როგორც შპს „გუგა"-ს დირექტორი, შემდგომში „მარწმუნებლად" წოდებული, ამ მინდობილობით სრულ უფლებას ვაძლევ **დავით ჯიბლაძეს**, დაბადებულს 13.08.1975 წელს, მცხოვრებს თბილისი, ვაშლიჯვარი, კორპ. 3ა, ბ. 3-ში, პირადი №01025007837, შემდგომში „რწმუნებულად" წოდებულს, იყოს ჩემი, როგორც შპს „გუგა"-ს დირექტორის წარმომადგენელი ყველა დაწესებულება-ორგანიზაციაში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინიტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ იუსტიციის სახლში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, საგადასახადო-საბაჟო პუნქტებში, პორტალში, ტერმინალში, საწყობში, /მათ შორის საწყობში დროებითი შენახვის, დროებითი დასაწყობების მიზნით/, საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე, კონტროლის ზონებში, უზრუნველყოს სახელწიფო მოსაკრებლების, გადასახადების გადახდა, შეუზღუდავად აწარმოოს ჩემი სახელით საქმეები საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერ ბანკში ან მათ სერვის ცენტრებში, გახსნას ან დახუროს ანგარიშები, გახსნას, დაარეგისტრიროს და ისარგებლოს ინტერნეტ ბანკინგით, განახორციელოს საბანკო ოპერაციები /შეტანა, გატანა, გადარიცხვები, კონვერტაცია და სხვა/ უცხოურ ვალუტაში ან ეროვნულ ლარში, მიიღოს ამონაწერები შესრულებულ საბანკო ოპერაციებზე, აწარმოოს სასაქონლო ოპერაციები, დადოს გარიგებები, შეისყიდოს ან გაყიდოს ნებისმიერი პროდუქცია საქართველოს ტერიტორიაზე ან მის საზღვრებს გარეთ, მიიღოს ან გააგზავნოს ტვირთები, უზრუნველყოს მათი ტრანსპორტირება საქართველოს ტერიტორიაზე ან მის საზღვრებს გარეთ, აწარმოოს ელექტრონული დეკლარირება, გამოწეროს ელექტრონული სასაქონლო ზედნადებები, ანგარიშფაქტურები, სალაროს ორდერები, წარადგინოს ყველა სახის განცხადება, მოაწეროს ხელი საჭიროებისამებრ სათანადო დოკუმენტაციას, რაც დაკავშირებული იქნება შპს-ს საქმიანობის მართვასთან, შეუზღუდავად იმოქმედოს იმ უფლებებით, რაც მონიჭებული მაქვს მე, როგორც შპს-ს დირექტორს ამავე შპს-ს წესდებით.

რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ სავალდებულოა შპს-ს საქმიანობის შეუზღუდავი წარმოებისათვის.

რწმუნებული უფლებამოსილია დაიცვას ჩემი ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები და წარმოადგინოს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, არბიტრაჟში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში და აწარმოოს შესაბამისი სისხლის, სამოქალაქო და ან ადმინისტრაციული საქმე.

რწმუნებულის მიერ შესრულებული მოქმედებები და მიღებული გადაწყვეტილებები ამ მინდობილობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ჩემს მიერ იქნება მოწონებული და უდაო.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, სოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს ხელზე.

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

18150819110514

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N141095510

რეგისტრაციის თარიღი

06.10.2014 წ

ნოტარიუსი: მაია წიკლაური
მისამართი: ქ. თბილისი წერეთლის 55
ტელეფონი: 2 35-21-19

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18